# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია

KA000092908676018

*5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1 ტელ: 5(99) 856 577 ელ.ფოსტა info.gamgeoba@gmail.com

№ 221-ს 05 / მარტი / 2018 წ.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52–ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 35-ე მუხლის, 37-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და $126^1$ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიაში მოხელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.
2. განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიაში კონკურსის წესით დასაკავებელი თანამდებობები, დანართის თანახმად.
3. შეიქმნას ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელის ვაკანტური თანამდებობების დაკავების მიზნით კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად საკონკურსო კომისია.
4. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ზაზა ხორავა.
5. კომისიის თავმჯდომარემ უზრუნველყოს კონკურსის ჩატარების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).



მერი

დათო გოგუა

*დანართი*

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიაში ღია კონკურსის წესით**
**დასაკავებელი თანამდებობები**

| N | **თანამდებობის დასახელება** | **ვაკანსიის რაოდენობა** | **თანამდებობრივი სარგოს ოდენობა (ლარებში)** |
|---|---|---|---|
| 1 | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების უფროსი | 1 | 1100 |
| 2 | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მერის წარმომადგენელი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ზუმის ადმინისტრაციულ ერთეულში | 1 | 1000 |
| 3 | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 2 | 650 |